სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებისთვის ელექტრონული რეგისტრაციისა და განცხადების წარდგენის ინსტრუქცია

განცხადებები მიიღება დადგენილ ვადებში მხოლოდ ონლაინ რეჟიმში

1. პორტალზე რეგისტრაცია

1.1. დააჭირეთ ღილაკს: „რეგისტრაცია“

1.2. შეავსეთ ყველა სავალდებულო ველი და დაეთანხმეთ რეგისტრაციისათვის აუცილებელ პირობებს



1.3. პორტალზე რეგისტრაციის დასრულებისთვის, უნდა დადასტურდეს ტელეფონის ნომრის სიზუსტე. შესაბამისად, თქვენ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ უნიკალურ კოდს, რომელიც უნდა შეიყვანოთ პორტალზე.



1.4. პორტალზე რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას -
„tqven warmatebiT gaiareT registracia, gtxovT gadaxvidet gancxadebis shevsebaze“

რეგისტრაციის გავლა არ ნიშნავს განცხადების წარდგენას, რეგისტრაციის გავლის შემდეგ, გადადით განცხადების შევსებაზე.

2.განცხადების შევსება

ელექტრონულ განცხადებას ავსებენ სტუდენტები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საერთო სამაგისტრო გამოცდები და სწავლობენ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე

2.1. დააჭირეთ ღილაკს „შესვლა“ ;

2.2. თქვენი პირადი ნომრითა და პაროლით შედით სისტემაში;



2.3. დაადასტურეთ, რომ გაეცანით ინფორმაციას პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ



გაცნობებთ, რომ პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე თანხმობის გარეშე, ვერ შეძლებთ განცხადების წარდგენას

2.4. დაიწყეთ განცხადების შევსება, მონიშნეთ საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების წელი;

2.5.მონიშნეთ კატეგორია/კატეგორიები, რომელსაც მიეკუთვნებით და ატვირთეთ მონიშნული კატეგორიისათვის საჭირო დოკუმენტები;

2.6. დააჭირეთ ღილაკს „შენახვა“, რის შემდეგაც პორტალი დაგიწერთ, რომ განცხადება წარდგენილია. მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - „gancxadeba wardgenilia“.

3.განცხადების რედაქტირება/შესწორება

კატეგორიის/კატეგორიების დამატება და ნებისმიერი სახის ცვლილება შესაძლებელია განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე.

შემდგომ ეტაპზე დაიწყება განცხადებების განხილვა.

3.1. განცხადების რედაქტირება/შესწორება შესაძლებელია განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე, ღილაკზე „განაცხადის შესწორება“ დაჭერით.

4. განცხადების განხილვის პროცედურები

4.1. განცხადების სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, მითითებულ ტელოფონის ნომერზე მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - **tqveni gancxadeba ganxilvis procesSia**

4.2. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, განცხადებას შეეცვლება სტატუსი - „ნაწილობრივ დახარვეზებულია“ ან „სრულად დახარვეზებულია“, ამასთან ხარვეზის შესახებ მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას მითითებულ ტელეფონის ნომერზე, ხოლო ხარვეზის მიზეზისა და გამოსწორების საბოლოო ვადის ნახვა შესაძლებელია პორტალზე (http://socreg.mes.gov.ge/), თქვენი პირადი ნომრითა და პაროლით შესვლის შემდეგ;

4.3. ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია დადგენილ ვადამდე, გამოსწორებისათვის დააჭირეთ, ღილაკს „ხარვეზის გამოსწორება“. შეასწორეთ მითითებული ხარვეზის მიზეზის შესაბამისად და დააჭირეთ ღილაკს „შენახვა“;

5. შედეგები

დოკუმენტების გადამოწმების შემდეგ დადგინდება მიეკუთვნებით თუ არა დადგენილებით განსაზღვრულ კატეგორიას. პროგრამის ფარგლებში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ, გეცნობებათ თქვენ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით.

5.1. ხარვეზის გამოსწორების საბოლოო ვადის გასვლის შემდგომ, „სრულად დახარვეზებული" განცხადებები არ განიხილება.

5.2. „ნაწილობრივ დახარვეზებული" განცხადების მქონე პირები კონკურსში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ იმ კატეგორიებში, სადაც საჭირო დოკუმენტები წარმოდგენილია სრულყოფილად;

5.3. პირები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სოციალური პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნას, მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებენ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - tqven ver akmayofilebT socialuri programiT gaTvaliswinebul moTxovnas, detaluri informacia ixilet tqvens personalur gverdze

5.5. სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება რეგისტრაციისას მითითებული ტელეფონის ნომრებზე:

ა) Tqven moipoveT saxelmwifo saswavlo samagistro granti socialuri programis farglebSi;

ბ) ver moipoveT saxelmwifo saswavlo samagistro granti socialuri programis farglebSi dabali sagranto qulis gamo.

გისურვებთ წარმატებას!